

# შინაური საქმეები

№ 12.

კვირა, 21 მარტი, 1910 წ.

აღმსნი: ქუთაისი „შინაური საქმეების“  
რედაქცია

უოველკვირეული გაზეთი.

შინაარსი: „ვაი მეტი ჭკუისაგან“ (უძღვნი ჯაჯუს) — კონსერვ: ტორისა; წყარო ურწმუნოებისა (თარგმანი) — ლ. ჩიხელისა; ცოლ-ქმრობა, ბაჯითელისა;

კრწანისის ომი, — ივერიელისა; როგორ მოვიქცეთ? — მღ. ს. ჭ—რიძისა; ჯვარცმა (ფარარით).

ურნალი „შინაური საქმეები“ წლიურ ხელმომწეროებს დაურიგებს პრემიით შატუის თხუზულეის „იესო ქრისტე“ საქმირველუბა ისტორიისა.

უოველკვირეულ გაზეთ  
**„შინაურ საქმეებს“**  
ხელის მოწერა მაადება რედაქციაში, ქ. ქუთაისში (საბურთალო — გაზაკვის შესასვეში № 17) და თბილისში გამომცემელთან სომხის ბაზარში.  
წლიური ფასი 4 მან. ნახ. წლით 2 მ. ჯ 10 კ.  
გაზეთი ღებულობს დასაბეჭდად ყოველგვარ განცხადებებს.

„ვაი მეტი ჭკუისაგან.“  
(უძღვნი ჯაჯუს).

„მეტმა ჭკუამ“ სხვა მხრითაც ჩინა თავი ახალგაზდობაში — მოსწავლე თაობაში. მოსწავლე თაობამ შეიგნო არარაობა, ამაოება და ფუქსავატობა ამა წუთისოფლისა. გასაკვირალი არ არის ამიტომ, რომ იგი გმირულად შეუდგა ამაოების მოსპობას, ე. ი. თავის მკვლელობას. საკმარისია სულ ცოტა მიზეზი, თუნდ ერთი უგულო შემოხედვა გულის სატრფოსი, რომ „მეტი ჭკუის“ პატრონ-

მა ერთი ბოთლი კარბონკა მიიღოს, ან თოკში თავი გაუყაროს, ან კიდევ სხვა რამ გმირულ საშეაღებას მიმართოს. და ასეთ ჭკვიანურ საქციელს, ასეთ „მეტი ჭკუის“ გამომეტყველებას ქებათა ქებას უმდერენ ჩვენი წუთისოფლის ამაოების და უმიზნობის მქადაგებელნი და მოძღვარნი. ჩვენი განმანათლებელი „ეშმაკის მათრახისტები“ ერთი მათგანი „შინაური საქმეების“ კორესპონდენტს უკვირებს, რათ აძაგე თავის მკვლელობის რეჩისტები, რათ არ მოუწონე მათ მოუმიწიფარი ჭკუის ნაწარმოების წარმოთქმაო. სწორეთ, რომ გასაკვირვალნი ოხუნჯია ეს ჩვენი „მათრახი“. ოღონ მაგარ მაგარი სიტყვები არახუნე, ოღონ მაღალ ფარდულეებში იარე, ოღონ არსებულ მოძღვრებას ნუ ეთანხმები, თუ გინდ უმაღლეს ჭეშმარიტებასაც იპყრობდეს იგი, და სხვა რაც გინდა აქე და აძაგე, — ეს ყველაფერი მისაღები და საგულისხმიერო იქნება მით უფრო, თუ ახალია, თუ უცხოა. მოდა ბატონო, მოდა! თავის მკულელობაც ხომ მოდათ შემოვიდა ეხლა და თავის მკვლელზე შესხმითი რეჩებიც! და ის „მათრახი“ „ეშმაკის მათრახი“ არ იქნება, რომელიც ასეთ ეშმა-



კურ მოდას არ შეაქვს და მის რეჩისტებს დემოსტენის გვირგვინით არ შეამკობს. ეხლანდელი თავის მკვლელი მოწამეა „მეტი ქკუს“ პატრონების აზრით, იგი სხვერპლია დღევანდელი აუტანელი მდგომარეობისა და ამიტომ ღირსია ჩვენი თანაგრძნობისა. ასეთი მაღალი აზრი თავის-მკვლელზე ბევრ ახალგაზდას დაახვევს თავბრუს და გამოასალმებს უმიზნო ქვეყანას და მაშინ უყურეთ „ეშმაკის მათრახს“ (უფრო ეშმაკების საბედარს) ჯოჯოხეთური სიცილ ხარხარი და ცეკვა-ფერხული. რაც შეგვეხება ჩვენ, ე. ი. „შინაური საქმისტებს“, ჩვენი აზრი ეს არის (თუ სიძველით არ დაგვიწუნებთ): წუთისოფელი არ არის ამაოება, იგია მშვენიერი ბაღი მშვენიერ მიზნისათვის მისაღწევ საშუალებად მოცემული. იგი არც მხოლოდ სიამოვნებისთვის გაშლილი სუფრაა და ვინც სულ სიამოვნებაზე ფიქრობს, ადგილი არა აქვს ამ სუფრაზე. იგი არის ქურა რომელშიდაც უნდა გადადულდეს ჩვენი კაცობრივი ნება, აღიზარდოს ჩვენი ხასიათი, ამალდდეს ჩვენი ზნეობა, რომ სულს შემდეგ სიკვდილისა მიეცეს საშუალება ამ მიმართულებაში განვითარებისა, დამკვიდრებისა და განსვენებისა, რომ ყოველივე ამ ქვეყნად დაუკმაყოფილებელი მაღალი მისწრაფებანი დაკმაყოფილებულ იქმნან საუკუნოდ. ვინც ასეთ მიზანს ღალატობს, ვინც ამ გამომახურებელ ქურას გაურბის და ერიდება ის გმირი კი არ არის, არამედ ღაჩარია, ის მოწამე კი არ არის, რომელსაც ვერაფერი ვერ უნდა აკავებდეს ზნეობრივ მსვლელობაში, არამედ საცოდავი მონაა, რომელიც ისწრაფვის მალე დამარხოს თავის ტალანტი, და ასეთი ღაჩრები რა ღირსნი არიან ცოცხალთა თანაგრძნობისა, თუ ეს ცოცხალნიც ისეთნივე ღაჩარნი და მონანი არ არიან?! და თუ ასეთები არიან, რაღას გვიკეთებენ მათი მაღალფარდუ-

ლებიანი ალტყინებელი. რეჩები? რა მოხელეა ახალგაზდობა „რომელიც“ ცხვირ ზევით ვერაფერს ხედავს, რომელსაც ადამიანის ყოველივე მოთხოვნილება მიზნად მიაჩნია და რომელშიდაც ერთი მცირედი მათგანის დაუკმაყოფილებაც კი თავზე ხელის აღებას იწვევს, ან რა სიკეთე მოელის იმ ხალხს მომავალში, რომელსაც ასეთი უნიადაგო, ასეთი უსამყარო, ასეთი მჩატე და ფუქსავატი შეილება ეზრდება, რომელსაც ისეთი მოძღვრები ჰყავს, როგორიც, ეშმაკის მათრახისტებია. სწივიან ტერრიტორია ხელიდგან გვეკლებათ. უნდა აღვიაროთ, რომ ეს ჩვენი ცხოვრების ერთი თანამედროვე უბედურ მოვლენათაგანია. მაგრამ რა შედარებაა ამ მოვლენასა და უმიზნო, უიმედო, სასოება დაკარგულ ახალგაზდობას შორის. თუ ახალგაზდობამ ცხოვრების მყარი და უცვალებელი საფუძველი ვერ იპოვნა და გზა დაკარგულმა „ნირვანას“ მიმართა, ვიღას უნდა უანდერძოთ ეს ჩვენი ტერრიტორია? თავის თავად იგი მის ხელში გადავა, ვინც ცხოვრებას საღი თვალთ უყურებს, ვისაც ქვეყნიური ცხოვრება გზად და ხილად მიაჩნია მომავლისათვის. ვინც წუთიერ უსიამოვნებას და დაბრკოლებას გპირულად ხვდება და მომავალ საუკეთესო ცხოვრების მოლოდინში სასოწარკვეთილებას არ ეძლევა და სიკვდილ უბეში არ უძვრება. და თუ თვითმკვლელობა საქებური და სათაყვანო გმირული საქციელია, თუ თავის მკვლელების მოშაირე მოღვექსენი და ხოტბა დიდების მკმევლნი ქვეყნის მხსნელნი არიან მაშინ მშვიდობით ჩვენო ტერიტორიაც, ჩვენო ნაციაც და ჩვენო მომავლო.

კონსერვატორისა



# შინაური საქმიანობის.

(თარგმანი)

„შეიყვარეს კაცთა ბნელი, ვიდრე ნათელი. რამეთუ იყენეს საქმენი მათნი ბოროტ.“ (იოან. 3, 19).

რისგან წარმოსდგება უმთავრესად ურწმუნობა? რომელია ნამდვილი მისი წყარო?

ჩვეულებრივ ურწმუნობის მიზეზად ასახელებენ ქეშმარიტების შეუგნებლობას, გონების ცთომას და თანახმად ასეთი მოსაზრებისა, როცა სურთ ადამიანი სარწმუნოებაზე მოაქციონ. ცდილობენ უმთავრესად იმოქმედონ მის ჰკუაზე, დაარწმუნონ მისი გონება; შლიან ურწმუნოს წინ მის მოსაქცევად ქრისტიანობის ქეშმარიტების დამტკიცებას; თვალწინ უყენებენ ქრისტიანობის უაღრესობას და მისი მოძღვრების ზნეობრივ სიმშვენიერეს და რომ მხოლოდ ქრისტიანობა აძლევს პასუხს ადამიანის სულის ღრმა და ქეშმარიტ საჭიროებებს. აჩვენებენ ქრისტიანობის ღვთიურ წარმოშობის ნიშნებს, ამცნევენ, რომ ვერც ერთი კაცობრიული წიგნი ვერ შეედრება საღმრთო წერილს წინასწარმეტყველებათა სიტყვადით, მისი მოძღვრების უაღრესობით, ნაყოფიერების მხრით, რომელიც მოიტანა და მოაქვს ქვეყანაზე; დასასრულ უჩვენებენ უსაზღვრო სიდიადეს და მიუწლომელ სიწმინდეს სახარებაში აღწერილ ქრისტეს ზნეობითი სახისას, და ყველა ამიდან გამოყავთ, რომ ქრისტიანობა ქეშმარიტებაა, რომ მაშასადამე ქეშმარიტებაა ყველაფერი ისიც, რასაც იგი გვიცხადებს და რასაც გვასწავლის, რომ მაშასადამე იქნება სხვა ცხოვრებაც, რომლის შესახებ გვეუბნება იგი, იქნება საზოგადო განსჯა, და რომ იესო ქრისტე ძეა ღვთისა და მაცხოვარი ქვეყისა.

შეუძლებელია ამას და ამის მსგავს დამტკიცებას ქრისტიანობის ღვთიურ ქეშმარიტებისა ფასი არ ჰქონდეს საღ მოაზრე და მიუდგომელ კაცის თვალში; ყველა ეს დამტკიცება დაურღვეველია და უცილებელ აქსიომების რიცხვში უნდა ჩაითვა-

დოს; ამისთვის დიდად სასარგებლო ზე აუცილებელია ამ საბუთების ხმარება ქრისტიანობის დასაცველად ურწმუნოებთან ბრძოლაში. მაგრამ ყოველივე მასთან მხოლოდ ეს ერთი იარაღი საკმაო არაა ურწმუნოებაზე გასამარჯვებლად; მართა ამ იარაღის მოქმედებით არ შეიძლება დაეწიო ურწმუნოებას, ასე ვსთქვათ, მის ნამდვილ ნიადაგზე, მოუტანო მას ნამდვილი საგრძნობი ვნება.

ყველა ეს მოსაზრება და საბუთი უფრო მორწმუნეთა რწმენას განამტკიცებს, ვიდრე სარწმუნოების უარყოფელ ურწმუნოს მორწმუნედ გახდის. რისთვის არის ასე? მისთვის რომ მთავარი წყარო ადამიანის ურწმუნობისა მის გულშია და არა გონებაში; ურწმუნოება ადამიანის გონების ცთომაში კი არაა, არამედ მისი ნების ბიწიერებასა და მისი ცხოვრების ცოდვებში. ადამიანებს არასწამთ, მისთვის რომ ცოდვილები ირიან; მისთვის რომ „საქმენი მათნი ბოროტნი არიან“ და მათი თვალეზი დახუჭულია ქეშმარიტებისათვის. მოციქული პავლე, როცა ლაპარაკობს მის თანამედროვე წარმართებზე, მათ გონების დაბნელებას და მათ უფიცობას მიაწერს „მათი გულის სიფიცეს. და ეს ქეშმარიტებაა შესახებ ყველა ადამიანისა, რომელთაც არა სწამთ სახარება. ნამდვილი მიზეზი ურწმუნობისა ის არის, რომ ადამიანებს არ სურთ სარწმუნოება; მათ ურწმუნოება ურჩევნიათ მორწმუნეობას, მისთვის რომ ცოდვილები არიან; „შეიყვარეს მათ“, როგორც ამბობს მაცხოვარი, „ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყენეს საქმენი მათნი ბოროტ.“ მართლა „ცოდვილი, ადამიანი, რომლის საქმენიც ბოროტნი არიან,“ დანეტერესებულია არ ირწმუნოს; მას ეშინია სარწმუნოების, როგორც ავაზაკს დღის სინათლის. თუ ცოდვილი უარყოფს სარწმუნოებას ამას მისთვის კი არა, რომ ის დარწმუნებულია სარწმუნოების სიცრუეში, სარწმუნოების უარყოფას მას აიძულებს ის, რომ სარწმუნოების მიღებით მან უნდა უარყოს ყველაფერი, რასაც შეეჩვია და რასაც სასოვს. მან იცის,

რომ თუ მიიღო სარწმუნოება; იძულებული იქნება შეუშვას სინათლე თავის შინაგან ცხოვრებაში, დაინახოს თავის თავი იმ გვარად, როგორც არის იგი, დამდაბლდეს თავის უღირსობის გრძობით, — და ისიც ამიტომ უკან იხევს ამ საღმრთო ნათლისაგან, რომ იძულებული არ შეიქნეს გაწითლდეს თავის თავის წინ. მან იცის აგრეთვე, რომ თუ მიიღო სარწმუნოება, მასთან უნდა აღიაროს, რომ თანამდებია ღვთის რისხვისა თავის ცხოვრებისათვის, რომ მომავალი უქადის მას საუკუნო სასჯელს, რომ მიდის ისეთი გზით, რომელსაც ცხადია მიჰყავს წარწყმედისაკენ, და ისიც უკან იხევს ამ სამწუხარო დარწმუნების წინ; მას საკუთარი სიმშვიდისათვის უსათუოდ უნდა, რომ არ იყოს მომავალი განსჯა და საუკუნო სასჯელი და იგიც განზრახ ხუტავს თვალებს, რომ არ დაინახოს ქეშმარიტება, რომელიც ასე საშინელია მისთვის. ბოლოს მან იცის, თუ მიიღო სარწმუნოება, იგი იძულებული იქნება ამით დაუტეოს ცოდვა, დაადგეს თავის უარყოფის და სიწმინდის გზას; მაგრამ სწორედ ეს არ სურს მას, რადგანაც უყვარს ცოდვა და მიჯაჭვულია მან. და აი ისიც უარყოფს ქეშმარიტებას, რათა მისი მიღებით იძულებული არ გახდეს უარყოს თავისი საყვარელი მიღრეკილება, თავისი თავისი მხურვალე და გიჟი სურვილი.

ამგვარად, მიზეზი, რომლის ძალითაც ურწმუნო არ ღებულობს სარწმუნოებას, არ ამტკიცებს იმას, რომ იგი დარწმუნებული იყოს სარწმუნოების სიცრუეში; პირიქით, მას არ შეეშინდებოდა სარწმუნოების ეგზომ, არ უარყოფდა მას ასე დაჟინებით, რომ არ ქონდეს საიდუმლო წინათგრძნობა, რომ სარწმუნოება ქეშმარიტებაა.

შესაძლოა მოვიყვანოთ ურიცხვი მაგალითი იმის დასამტკიცებლად, რომ ურწმუნოების ფესვი ყოვრლთვის ცოდვა იყო.

შეხედეთ ევას შეცდომაში, ურწმუნოების პირველ გამოჩენას, რომელსაც ვხედავთ მსოფლიო ისტორიაში: რისთვის დაკარგა მან რწმენა ღვთის სიტყვისა, რომელმაც უთხრა მას და მის ქმარს: „რომელსა დღესა სკამოთ

მისგან, სიკვდილითა მოკვდეთ“. — მისთვის რომ მან მოისურვა ქამა აღკრძალულ ხილისა; ცოდვის სურვილმა, აღძრულმა მის გულში, მისდრიკა მისი გონება დაეჯერებინა გველისთვის, რომელიც ეუბნებოდა მას: „სრულებით არ მოკვდებითო“. მან შესცოდა მისთვის, რომ დაკარგა რწმენა; მაგრამ როცა დაკარგა რწმენა, ცოდვა უკვე იყო მის გულში. შეხედეთ კიდევ ფარისეველთა ურწმუნოებას. რისთვის არ იცნეს მათ იესო ქრისტეში წინასწარმეტყველთა მიერ უწყებული მესსია? უეჭველია მისთვის კი არა, ვითომ ვერა ხედავდნენ ამის საკმაო დასამტკიცებელ საბუთს. მაცხოვრის საქმენი ხმა მალლა დაღადებდნენ იმის ღვთაებრივ მოვლინებაზე; მის მიერ ქმნილნი სასწულნი ცხადნი და განსაცვიფრებლნი იყვნენ, თვით ფარისევლებმაც ვერ უარყვეს იგინი მაგრამ მაინც არ ირწმუნეს და მის ნაცვლად რომ ეცნათ მესსიაში ძე ღვთისა, მზად იყვნენ მისი სასწაულები ბელზებულის მოქმედებისათვის მიეწერათ! რა იყო მიზეზი ამ საკვირველ ურწმუნოებისა, რომელიც თვით სიცხადის წინააღმდეგ მიდიოდა? მიზეზი ფარისეველთა გულში იყო, მათს ნებასა და ხასიათში, მათს პირმოთენობაში, რომელსაც კაცხავდა მაცხოვარი, და რომელიც ფარისევლებს თვის შორის თვითვე უნდა გაეკიცხათ, რომ ეცნათ მესსიაში ძე ღვთისა.

ასე იყო ყოველ დროს. ყოველთვის ვხედავთ ურწმუნოებას, გამოძინარეს ცოდვისადმი სიყვარულისაგან, მაშინ როცა სიკეთისადმი სიყვარულის ყოველთვის მიყავს სარწმუნოებას თან. იმ ქეშმარიტებას საუცხოვოდ ამტკიცებს ამ ადამიანთა მაგალითი, რომელნიც თავიანთი განსაკუთრებითი ნიჭით სხვებზე მალლა სდგანან. იმის დასამტკიცებლად, რომ ქრისტიანობა არაა მტერი მეცნიერებისა და საღ მსჯელობისა. სამართლიანად უჩვენებენ იმ ადამიანებზე, რომელნიც ერთსა და იმავე დროს მეცნიერების ფრიად წინ წამწვენიც იყვნენ და მშვიდი მორწმუნენიც. ასეთია კოპერნიკი, ნიუტონი, გალილეი და სხვანი. ურწმუნოები გვეწინააღმდეგებიან და გვეუბ-

ნებიან, რომ ამ დამტკიცებას არ აქვს ძალა და თავიანთი მხრით გვითითებენ სხვა თანასწორ გენიოს ადამიანებზე, რომელნიც უარს ყოფენ სარწმუნოებას. მაგრამ თუ შევადარებთ ზნეობის მხრით გენიოს ადამიანთა ამ ორ რიგს, დავინახებთ ამ შეფარდებით საუცხოვო დამტკიცებას იმისასა რასაც მე ვამბობ. მაღალ ნიჭიერი ადამიანები, რომელთაც მიიღეს ქრისტიანობა, ვანთქმულნი იყვნენ თავიანთი ზნეობით, როგორც მაღალი ნიჭით; მაშინ როცა ისინი გვიფართობდნენ ცოდნის წრეს თავიანთი მეცნიერულ აღმოჩენით ან გვიკეთილშობილებდნენ აზრსა და გრძნობას თავიანთი პოეზიით, იმავე დროს ისინი ებრძოდნენ თავიანთ ვნებებს და წინ მიდიოდნენ ზნეობრივად. მაგრამ ის მაღალ ნიჭიერი ადამიანები, რომელნიც ურწმუნოები იყვნენ, რას წარმოადგენდნენ ზნეობრივად, ყოფაქცევით, როგორც მაგალითად ვოლტერი, უზნეო მწერლობაშიაც და ცხოვრებაშიაც, ან ბაირონი, სრულებით უცხო ყოველივე ზნეობრივ წესისა და სარწმუნოებისაგან და სხვანი მათი მზგავსნი? რა გასაკვირია, აუ ასეთი ადამიანები ურწმუნო იყვნენ? მათ აშინებდათ სარწმუნოება და ამისთვის იგინი მის წინააღმდეგ მიდიან. მათ დახუქეს თვალი ქრეშმარტებისათვის, რომელიც კიცხავდა მათ „შეიყვარეს ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ იყვეს საქმენი მათნი ბროტ“. მსგავს კაცთა ურწმუნოებას, არამც თუ არ შეუძლია შეარყიოს საფუძველი სარწმუნოებისა, პირ იქით ამიერებს მას; არის შეურაცხყოფა, რომელიც ხშირად ამაღლებს მის ღირსებას, ვისკენაც მიმართულია; ქრისტიანობაც არა ნაკლებ ნადიდებია მტერთა თავდასხმით და თავის მიმდევართა ტანჯვა წამებით.

ყველა ამასთან ფიქრობენ, იპოვონ გამონაკლისი საერთო კანონიდან; გვარწმუნებენ, რომ არიან ადამიანები ურწმუნონი ხელობით და მასთან უსაყვედურონი თავიანთი ზნეობით. არ ვიცი, რა უფლება აქვთ ამტკიცონ ეს ასე დადებითად. რომელნიც ამტკიცებენ ამას, მათ ხომ არ შეუძლიათ სთქვან, რომ შეუძლიათ წაიკითხონ ურწმუნ-

ნოს გულში ისე, როგორც საკუთარში; მათ თითქმის ისიც არ შეუძლიათ დაამტკიცონ, რომ მათ იციან დაწვრილებით მათი გარეგანი ცხოვრება; და ან ვინ იკისრებს დაამტკიცოს, რომ ურწმუნოს არა აქვს რაიმე დაფარული ცოდვა რომლისგანაც წარმომდინარეობს მისი ურწმუნოება? არა, ძნელია რწმენა ურწმუნოს ზნეობიანობისა; ძნელი დასაჯერებელია, რომ მას, ვინც უარყო ღმერთი, შეეძლოს სრული და გულწრფელი პატივისცემა მისი წმინდა მცნებისა; ეს იქნებოდა საკვირველი და შეუძლებელი წინააღმდეგობა! ამასთან უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ცოდვა ხშირად შეუმჩნეველი და გაუსამართლებელი გვჩნება: შესაძლებელია ის, ვისაც ჩვენ ვსთვლით ნამდვილ და კეთილზნეობიანად, ატარებს სიამაყის გრძნობას, თავდადებით ფარავს გულის სიღრმეში, რომელიც უწყის მხოლოდ ღმერთმა; აი ეს ერთი ამპარტავენება სრულებით საკმარისია, რომ განაშოროს ადამიანი სარწმუნოებისაგან, რომელიც ყველაზე უფრო სიმდაბლეს გვავალეს. ამ გვარად, შეიძლება ვთქვათ დადებითად, ჩვენ რომ შეგვეძლოს კითხვა ურწმუნოს გულში, ჩვენ ყოველთვის უბოვიდით იმას რაიმე იღუმალ ან ცხად დარღვევას ზნეობრივ კანონისას, რომელიც აიძულებს მას განეშოროს სარწმუნოებისაგან და ეშინოდეს მისი. ყოველდღიური გამოცდილება ლაპარაკობს მათზე. არ შეიძლება დაფარვა, რომ ჩვენი თანამედროვე ახალ გაზღობა, საერთოდ რომ ვსთქვათ, არ განირჩევა მორწმუნეობით. ჩვენ საზოგადოების ზოგიერთ დასში შეგვხვდება ყმაწვილები და ქალები, რომელნიც მზად არიან თავი იქონ თავის ურწმუნოებით. უეჭველია, ეს ცუდი და საბრალო პირები საზოგადოებისა უმეტეს ნაწილად სწავლა-დოქმთავერებლნი არიან. ყოველ შემთხვევაში რანაირად მივიდნენ ისინი ამნაირ ურწმუნოებამდე? უბრალო, თუმცა კი სამწუხარო გზით. მათ დაიწყეს იქა-დან, რომ გადაუხვიეს სახარების ზნეობრივ მოთხოვნილებას, დააყენეს თავის ნება მოვალეობის აღგილზე. ამ გვარად ცოდვამ, როგორც

ღრუბელმა, დაფარა მათი თვალიდან ქეშმარიტება. ისინი უარს უკოფენ სარწმუნოებას არა ღარწმუნებით, არამედ მისთვის, რომ სარწმუნოება ამხილებს მათ; „შეიყვარეს მათ ბნელი, ვიდრე ნათელი, რამეთუ საქმენი მათნი ბოროტ იყვნეს“. უკეთუ სიკეთის სურვილს, მისწრაფებას ზნეობრივ სიწმინდისა და სისრულისადმი მიმოეცვა მათი გული, ისინი იმ წამსვე მორწმუნენი გახდებოდნენ. ამ გვარი მიზეზები აშორებენ სარწმუნოებისაგან მომწიფებულ ადამიანთა. აქ შეიძლება მიზეზად იყონ სხვა გვარი ვნებები: პატივმოყვარეობა სიამოვნების სიყვარულის მაგიერ, ინტერესი განცხრომის სურვილის მაგიერ; მაგრამ ყოველთვის უსათუოდ რომელიმე ბიწიერი ვნება უბნელებს სულს თვალს და უშლის მას გაარჩიოს ქეშმარიტება. ისინიც კი რომელნიც ეკუთვნიან მორწმუნეთა რიცხვს, იმდენად მორწმუნეები არიან, რამდენად განთავისუფლდნენ ცოდვისაგან. თითქმის ერთი და იგივე კაცს კი გრძობს თვის შორის შემცირებას ანუ მომატებას რწმენისას მისდა მიხედვით, თუ რამდენად ერთგულია ზნეობრივ კანონისა. იმ წუთს, როცა ჩვენ ვიმარჯვებთ ცოდვაზე, განწყობილნი ვართ ვირწმუნოთ და ქეშმარიტება სახარებისა გვეხატება ნათლად. წინააღმდეგ ამისა, თუ კი ჩვენ დაუთმეთ ცთომას და შევსცოდეთ, მაშინ ჩვენი სულის თვალი ბნელდება, რწმენა ირყევა და ვგრძობთ რომ რომ ხშირად ცემას შეუძლია მიგვიყვანოს ჩვენ ურწმუნოებამდის.

ლადო ჩიხელი.

### კოლაქობა.

ცოდ ქმარს შუა ცბაერობას, ფარისევლობას, ზიანმოტყუობას ადგილი არ უნდა ქონდეს, ამას მოითხოვს ქეშმარიტი სიყვარული. ორივენი უნდა იყვნენ გამსკვალულნი „სიყვარულითა შეუდრკველებულითა“ (2 კორ. 6, 6). თუ ასეთი სიყვარული არ არის მათ შორის, იმათ კავშირს

სიცხოველე არ ექნება და თავის სახლში ისინი თავის თავს იგრძნობენ, როგორც უცხოთა შორის. ისედაც ცხოვრებაში ყოველ ნაბიჯზე შეხვედები მხოლოდ ცბიერ, ეშმაკურ ქცევას, სიტყვაპასუხს. ერთად ერთი თავის სახლი დარჩენია ადამიანს, გულწრფელი დამოკიდებულობა ქონდესთ მასთან ყველა შინ მყოფთ და თუ აქაც ვერ პოვობს სიწრფელს, რაღა დარჩენია? „ცოლა უნდა იყოს მეცნიერი, ვითარცა გველი, მაგრამ ამასთან უმანკო, ვითარცა ტრედი (მათ. 10, 16). თუკი ჩვენ მეგობრისაგან ვთხოვილობთ გულწრფელ დამოკიდებულობას, ვბრახდებით, როცა გვატყუილებს, მით უმეტესად საწყენია, როცა ცოლი, ერთხორცი, ცხოვრებაში განუყოფელი, მუდმივი ამხანაგი და მრჩეველი წმიდა გულით არ გეპყრობა, არ გელაპარაკება.

უნაკლულა არავინ არა ვართ. ცოლი უნდა ცდილობდეს დააფასოს და გარეთ არ გამოიტანოს, არ გამოაქვეყნოს ქმრის ნაკლულებანი, რაც უნდა დიდი იყონ იგინი. დეე, წესიერება ოჯახში, სიმშვიდე, თუნდაც კეთილი სახელი ქმრისა უმთავრეს ნაწილად წარმოდგებოდეს ცოლის მეოხებით, მეცადინეობით, მაინც მან არ უნდა გამოიტანოს გარეთ თვისი ქმრის შინაური საიდუმლოება. „სიუყვარული უფგელს მათმუნს“ ამათს პავლე მოციქული. (1 კორ. 13, 7). ერთი მხრივ ამნაირი თვისი ქცევით ის აასრულებს ქეშმარიტ ქრისტიანულ სიყვარულის მოთხოვნილებას, მეორე მხრივ დიდ გამსწორებელ გავლენას იქონიებს ქმარზე, რომელიც იძულებული შეიქნება ჩაუხედეს თავის გულს, დაფიქრდეს, გადაავლოს თვალი თავის ჩადენილ უწესო ცხოვრებას. ამასთან მიხედვება, რამოდენათ უყვარს იგი ცოლს, რომ ყოველივე მისი სისამაგლე დაითმინა და თავგანწირულად გადაიტანა, რისთვისაც მოვალეა სამაგიერო სიყვარულითვე გადაუხადოს.

ქმრებსაც ესვე უნდა ვუთხრათ. ძმაო ჩემო სიყვარელო, ვინცომაა შეგხედეს ცოლი რეგვენი, ანხელი, უხასიათო, უნდა მოითმინო. პავლე მოციქული გვეუბნება, გარდა მრუშობისა

უფლებივე დასაშუალოდა უნდა ახსტივთ შენს ცოდნით. უნდა გიფუარდეს იგი, სახლადგან არ უნდა გაუშვას, არამედ ეცადო როგორმე გასწავრო. რომ გააგლო ამით ხომ აძლივე შემთხვევას, მიყოს ხელი ბიწიერ ცხოვრებას და მაშინ ხომ შენ იქნები დამნაშავე მის გარყვნილ ყოფაქცევაში. როცა რომელიმე ნაწილი ჩვენი სხეულისა აგვტვირდობა, ვცდილობთ, როგორმე მოვირჩინოთ, ყოველ ღონის ძიებას ვხმარობთ მის განკურნებისათვის. ისე უნდა მოვექცეთ მეუღლესაც. ვის არ გვინახავს კაცს ან ხელი, ან ფეხი გახმობოდეს, მაგრამ მაინც შეენარჩუნებოთ იგი. თუმცა არაფრათ არ გამოადგება მას გამხმარი ხელი ან ფეხი, მაგრამ მაინც არ ელევნება. გამხმარი ხელი, ან ფეხი ამახინჯებს მთელს სხეულს კაცისას, მაგრამ მაინც არ იჭრიან, არამედ ატარებენ. მით უმეტესად უზნეო, უხასიათო ადამიანს—ცოლს ვერ გააგდებს კაცი, არამედ უნდა ეცადოს მოარჯულოს, გადააკეთოს იგი. გამხმარი ხელის განედლება ძნელია, უხასიათო ადამიანის გასწორება კი შესაძლოა.

ხშირად ხდება, ვისმეს მოუწება დაარღვიოს მოსიყვარულეთა ცოლქმრის ბედნიერი ცხოვრება და ერთ მათგანს მიუტანს ენას, ვითომც მისი მეუღლე ლალატობდეს მას, ვინმე სხვა ყავდეს შეყვარებულნი. ზოგიერთი მოკრავს ყურს თუარა ამნაირ ჭორს, მაშინვე დაიჯერებს და ამის შემდეგ თავის მეუღლეში ვერაფერ კარგს ვეღარ დაინახავს; მასთან ცხოვრება თან-დათან სამძიმოთ უხდება და ხშირად უბედურათაც ბოლოვდება. ამისთვის უმართებს ყველას სიფრთხილე და წინდახედულობა. დაიბნდობა უნდა ქქანდესთ ცოდქმარს ერთმანეთის. უამისოდ ვერ იცხოვრებენ ბედნიერად და თუ როგორმე შესუსტდა ეს ნდობა, ყოველი ღონისძიება უნდა იხმარონ მის აღსადგენად. ნდობა ერთმანეთისა არის ის ზნეობრივი გრგოლი, სალტე, რომელიც აკავშირებს მათ. ეს არის უმთავრესი ქვა, რომელზედაც არის დაფუზნებული შენობა ცოლქმრობისა და თუ ეს ქვაკუთხე გამოეცალა, შენობა დაინგრევა და მასთან სიმშვიდე და ბედნიერება ოჯახისა გაქარწყდება. რა დროსაც ეჭვი დაიბადება, წყარო

სიყვარულისა დაშრტება, შავი ღრუ აბნელებს მზეს მოწმედილი დღეებისას. ბადება შური სიყვარულისა. ამის შემდეგ ცოლქმარი ერთმანეთის თვალისდევნებაში ატარებენ დროს და ცდილობენ, როგორმე დაიჭირონ. სიძულვარე მათ შორის თანდათან ძლიერდება და ბოლოვდება მით, რომ ერთმანეთს უნდა გაშორდნენ თუ ნებით არა, ძალა-უნებლიეთ და ხშირად ძლიერ ცუდათაც, რადგან საშუალება, რომელსაც მიმართავენ ხოლომე, უმეტეს ნაწილად ბარბაროსულია.

„დაუტეოს კაცმა მამა თვისად დედა თვისა და შეგოს ცოდნა თვისა და იყვნენ ორნივე იგი ერთ ხორც. (შექ. 1, 24)“. ვითარმედ არაარა არიან ორ, არამედ ერთ ხორც; აწ უმეც რომელნი იგი ღმერთთან შეაუდლან, კაცი ნუ განშორებენ. (მათ. 19, 4, 5). „ნუ განშორებთ ურთაერთს გარნა თუ შეთქმით რაიმე უამ რამდენიმე, რათა მოიცადოთ ღმრცად და მარწყად და კვალად ერთი-ერთარსვე იუკუნით... ქარწინებულთა მათ შეამცნე არა შე არამედ უფადი, ცოდნა ქმრისაგან არა განშორებად... და ქმარი ცოდნა ნუ დაუტევეს (1 კორ. 7, 5, 10, 11). „ცოდნა სიჭაბუკისა შენისას ნუ დაუტევენ“ (მალაქ. 2, 15). ამ საღმრთო წერილის სიტყვებიდგან სჩანს, რომ ცოლქმრობის კავშირი დარღვევა წინააღმდეგია კანონისა, ღვთის ნებისა. მართლდაც თუ ცოლქმარი ერთმეორეს შეადგენენ, მათი განლაკვეება ნიშნავს ერთი სხეულისა-ხორცის გაყოფას, განასილებას, რათ გაქრას; თუ ღმერთმა შეაერთა ისინი, გაყრა მათი ღვთის ნების დარღვევაა, მის წინააღმდეგ მოქმედებაა. მხოლოდ, ვამბობ, ეს შეეხება იმნაირ ცოლქმრობის კავშირს, როდესაც ცოლქმარი ერის განყოფელს არსებას წარმოადგენენ, როგორც სულით ისე ხორციით. მათი გაყრა ვისიმე მეოსებით დიდი ცოდვაა და თუ ასეთი მკიდრო არ არის, ისინი არც კი იყვნენ შეერთებულნი და მამასადაც მათი ერთმანეთის მოშორება სრულყოფათა არ მოასწავებს ერთი ხორცის განაწილებას.

ერთად ერთს სიყვარულს შეუძლია შეუკინებელი ქუთს საწალი. თუ ქორწინება არის როგორც ხორციელი ისე სულიერი კავშირი

„ბებელი და-  
რანი“

ერთსა და იგივე დროს სამის ან მეტის ადამიანის დაკავშირება არ მოხერხდება; სამი ან მეტი ერთ ხორცათ ვერ იქცევიან. უწინ და ახლაც ზოგიერთ ქვეყნებში ორ და ბევრ ცოლიანობა ჩვეულებათ აქვთ გადაქცეული, მაგრამ ერთცოლიანობა მაინც კიდევ უფრო მაღლა ითვლება ზნეობრივად, უფრო პატივისცემა აქვს. ზოგიერთი კერპთაყვანისმცემელთა იმპერატორები ერთცოლიანობის დარღვევისათვის სჯიდნენ მოქალაქობრივი უფლებათა წართმევით. თუ კერპ მთაყვანისმცემლებში ასე სასტიკად ეპყრობოდნენ ბევრცოლიანობას, ერთცოლიანობას კი მაღლა აყენებდნენ, მით უმეტესად ქრისტიან სწავლის გავრცელების შემდეგ ქრისტიანები უფრო მეტს ფასსა დასდებდნენ ერთცოლიანობას. ერთი ქმრის და ერთი ცოლის ქორწინება ქრისტიანებისათვის ითვლებოდა და ითვლება ღვთისაგან დაწესებულათ ადამიანის შექმნისათანავე, როგორც ეს გარკვევით არის გამოთქმული ზემომოყვანილი საღმრთო წერილის სიტყვებში. წმ. მამები არც კი სწერენ არაფერს ბევრცოლიანობის შესახებ, რადგან მათთვის წარმოუდგენელი იყო, ქრისტიანთა შორის ყოფილიყოს ისე რაც უფრო შეეფერება ცხოველებს და სრულებითაც არ კუთვნის ადამიანს. ქრისტიანთა ზნეობრივი მოთხოვნილება კიდევ მეტი იყო. არამც თუ ერთსა და იგივე დროს ბევრი ცოლის ყოფა, არამედ ერთმეორეს შემდეგაც ბევრცოლიანობა ქორწინების სიწმიდის დარღვევად ითვლება. მართლაც, თუ კაცი სულით და გულით შეერთებულია თავის მეუღლესთან, მისთვის ძლიერ ძნელია სხვის ვისმეს ამნაირათვე მიეკედლოს, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მის (მეუღლის) სიკვდილის შემდეგ. მთლიანობა პიროვნებისა ადამიანში მოითხოვს ამას; ის ვერ განაწილებს, ვერ გაიყოფა ორით, ანუ სამათ. ამისათვის ქრისტიანები დიდათ ფასებდნენ, როცა პირველი ცოლის ანუ ქმრის სიკვდილის შემდეგ დაქვრივებული არ განიმეორებდა ქორწინებას. ნეტარ მაკრინეს როდესაც მოუკვდა საქმრო, დედმამამ ურჩიეს სხვა ვინმე ამოერჩია მის მივიერად, მაგრამ მან უარი განაცხადა, რადგან ამბობდა: „უკანონობა იქნება

პატივი არა სცეს ადამიანმა ერთხელ არჩეულს; როგორც ერთხელ ხდება კაცის დაბადება და სიკვდილი, ისე ქორწინებაც ერთხელ ქუნდა მოხდეს; ამასთან თუმცა ხორციელად გარდაცვლილია ჩემი საქმრო, სულიერად ის სრულებითაც არ მომკვდარა, მხოლოდ დროებით არის ის განშორებული და უგუნობა იქნებოდა ჩემი მხრივ ამ დროს განმავლობაში ერთგულობა არ გავსწიოვო“. არ მგვანებია ახლანდელ ქალებს! რომლებიც ქორწინდებიან მისთვის, რომ განქორწინდნენ, ქმრებს ეყრებიან მისთვის, რომ სხვებთან დაქორწინდნენ. მოციქულებმაც გამოთქვეს: ერთხელ ქორწინება კანონიერია, ეთანხმება ღვთის ნებას, მეორე უკანონოა, რადგან არღვევს პირველი ქორწინების დროს მიცემულ აღთქმას, მესამე ნიშანია მოუთბენლობისა. მეტი კი პირდაპირ ავხორციანობა, მრუშობა და არაწმინდობაა..

(შემდეგი იქნება) ბაჭითელი.

# პრწანისის ოში.

## VIII

სპარსელთა ურდო არეულია, აყრას აპირობს მათი მხედრობა,— მეტად აშინებს დამარცხებულებს ქართველთა მეფის დიდი გმირობა. ალა მაჰმად-ხანს ტანში აფრეოლებს, წინასწარად გრძობს თავის წახდენას: კრწანისის გმირი თვალთ ელანდება თითქოს უპირებს თავზე დაცემას. ასეთი ექვით თავზარდაცემულს წასვლა, გაქცევა მას ეჩქარება. ჰა! აიყარა და დიდი ურდო სპარსეთისაკენ მიემგზავრება; მაგრამ არ სძინავს ქართველების მტერს არარაციანს აოტემა სომებს, ქართველი მეფის მტერთან გაცემა მას განუზრახავს ისკარიოტელს.—



გადაეღობა ალა-მაჰმად-ხანს,  
 ნუ იყრებო ესაუბრება,  
 ირაკლი მეფეს ჯარი არა ჰყავს...

**მამადხან.**

ვინხარ ცბიერო? სადით მოსულხარ,  
 შენ ვერ მოხიბლავ შაჰის გულისთქმას!!  
 ვერ დამაჯერებ... სულ ტყუილია  
 ის, რომ ირაკლის ჯარი არ ჰყავდეს,—  
 იგი ნადირშას გამოზრდლია.

**არარაკი.**

დილა ხელმწიფე! სწორს მოგახსენებ,  
 დარწმუნდით!!.

**მამად-ხან.**

რომ მიღალატო და ტყბილის სიტყვით  
 ჩემის ჯარებით მიმცე მტრის საფრთხეს,  
 მაშინ პირველად ჩემი მახვილი  
 ვით ბოროტ, მაცდურს, ნაქრებად  
 დაგკებს...

**არარაკი.**

ამინ!

**მამად ხან.**

კი, მაგრამ შენი რა სარგებელი  
 რომ წაეხდინო ივერთა მეფე?!

**არარაკი.**

ერთგულ ქვეშევრდომს მიმიღებ შენი  
 ლად ..

ირაკლის დასცემ სპარსთ მეფობის მტერს  
 და შენ იქნები გურჯას ხელმწიფე!!.

—„მაშ კარგი“, და იმ გველის სიტყვაზე  
 წამოემართა მოსისხლე შაჰი  
 თავის ჯარებით ტფილისის არეს  
 და სურს აილოს, რაც ქართველებმა  
 წინ დლით სპარსელთა სისხლი დაღვარეს

**IX.**

მალღა გორაზე გურამიშვილი  
 მტერთან საომრად მართავს ზარბაზნებს,

მცირე რაზმით სდგას მამულისშვილი,  
 იღვეწის, ამაგრებს ტფილისის არეს.  
 სამშაბათ დილა ჩამოზნედილა,  
 ირგვლივ ნისლი სდგას და ბურუსია;  
 ვერ შეამჩნიეს დაბრუნებულს მტერს  
 თუ რა მანძილი გამოუვლია.

ბატონიშვილის დავითის ღვაწლი  
 ამაო არის... სპარსეთის ჯარი შემოეპარა;  
 ცრუ მოსაზრებით ექვში შესულა,  
 მის ვაჟკაცობა ძრწის და წამზდარა.

მხოლოდ გიორგი გურამიშვილი  
 ვაჟკაცურად დგას, ჯერ არ შეეკრთალა...  
 რომ გარჩია ბურუსში მტერი,  
 მის ზარბაზნებმა დაიგრილა.

და შეაჩერა სპარსელთ ჩქარი სელა.

ირაკლი არ სჩანს თავისის ჯარით;  
 როგორღაც დიდხან დაიგვიანა...

ანდრონიკაშვილს რევანს ეს საქმე  
 გულს მოეფინა მეტად ეამა.—

მიზნებს პოულობს საცუდმეტყველოდ;

ქიზიყის ჯარებს ატყუებს გველი

და ემზადება საგამცემელად...

—ირაკლი მეფე თავის ჯარებით  
 სულ დაუღუპავს ალა-მაჰმად-ხანს —  
 უთხრა თავადებს, რჩეულს მხედრობას.

რომ დააჯერა... მათის თანხლებით  
 მსწრაფლ მიაშურა შორს კახეთის გზას;

და ჩაიარა ქალაქს რევანმა,

ყველ-ს უამბო ეს ცრუ ამბები...

დაადასტურა სოლომონ მეფეც;—

დიდათ დაღონდნენ მის იმერლები...

ქალაქში ჯარი აღარ ჩერდება;—

მტრის შიშით ყველას მწარე ოფლი სდის...

სოლომონ მეფეც თავის ჯარებით

პაპას სტოვეებს და იმერეთს გარბის!!

მხოლოდ გიორგი სდგას ზარბაზნებით

მწყრალად უყურებს რევანის ხრიკებს

და ჯერ არ სჯერა თუ მოურავი

მეფის წასახდენს ხმარობს ოინებს,

და ვაჟკაცურად ეპატიებება

მამულისათვის თავის დაღებად.

**გიორგი.**

რევან! ნუ მტოვებ მარტო, შეჩერდი;  
 მეფე სულ მალე მოგვეშველება.

ან გამარჯვება ან ვაჟკაცურად  
მამულისათვის თავის დადება!

**რევაზი.**

ამო არი, ძმაო, გიორგი,  
აქ შენი ბრძოლა და შენი ღვაწლი;  
ღარწმუნდი რომ სპარსთ შეპყრობილი  
ჰყავს  
თავისის ჯარით მეფე ირაკლი.

**გიორგი.**

მერე შენ რევაზ?! შენ გსურს წახვიდე  
და დაიმშვიდო ეგ გულის ძგერა?  
სირცხვილი!! მაგრამ ჩვენი ირაკლი,  
რომ მტერს დანებდეს არა, არ მჯერა.

**რევაზი.**

სცდები... სჯობს ცოლშვილს არ დაუ-  
კარგო  
ეგ შენი ძალა და ვაჟკაცობა...  
მშვიდობით!.. მივალ ჩემის მხედრობით...

**გიორგი.**

ნუ, ნუ რევაზო! ქართველს ნუ არცხვენ  
უპატიოსნო შენის მხდალობით!..  
ივერთა მეფე მტერს მივსცეთ ხელში  
და ჩვენ ვიაროთ ქვეყნად მშვიდობით?!  
თუ ის მომკვდარა ჩვენც მოკვდეთ მასთან  
სახელოვანი გმირის სიკვდილით...  
ღამარცხებულნი ვით შევხვდეთ ცოლ-  
შვილს

როგორის სახით და ან რა პირით?!  
რევაზო, რევაზ! ნუ დაგვყრი მარტოდ;  
ამ შავ-ბნელს დროში ნუ აგვადებ ხელს,  
მამულისა და მეფის წინაშე  
ნუ დაამდაბლებ თავადის სახელს?!  
თორემ გამცემელს, მოღალატეს, ფლიდს  
შენს სახელს ცუდათ მოიგონებენ,  
ფურთხს დაგაყრიან და ჩვენს ტაძრებში  
ანათემითა შეგაჩვენებენ!..  
ისევ სჯობია აქ დარჩე ჩვენთან,  
აქ გშენის ბრძოლა ლომ-გულოვანსა.  
გაღიანძღულს ყოფნას ნუ ამჯობინებ

ქვეყნისთვის სიკვდილს სახელოვანსა!!.

მაგრამ რევაზმა არ მოიშალა  
და, რომ წავიდა, დიდმა ქართველმა  
წყვეა და კრულვა თან გააყოლა;  
შემდეგ იმ გმირმა ძალ-მოცემულმა  
თამამად დროშა ააფრიალა...  
ჯარი თან მისდევს... მაგრამ გვიანა.  
შემდგარმა სპარსმა ოდეს იხილა  
თავის მხედრებით კრწანისის გმირი  
ზარბაზნებისკენ მსწრაფლ მიმავალი,  
არ შეუშინდა ტყვიას და ცეცხლსა.  
გასწიეს ჯიქურ და შემოერტყნენ  
მალლა გორაზე მდგომ ზარბაზნებსა.  
შეიქნა დიდი, ძლიერი ომი.  
სპარსებს ეკვეთა გიორგი, ლომი.  
ხელ-ჩართულია სასტიკი ბრძოლა.  
სამი გაჩეხა სპარსი ცხენს მჯდომი;—  
მეტის მოსურნეს ხმალი გაუტყდა.  
მამულს და მეფეს თავი შესწირა...  
ადმსულებელი მოვალეობის  
გადაცხვია იქ მდგომ ზარბაზნებს.  
სპარსთა სიავემ მამულიშვილი  
იმ ზარბაზნებზე დასჭრეს, აკვებს,  
დიდება იმ გმირს, მადლი მის სახელს  
ქართველი ასეთ შვილს არ დაივიწყებს;  
მის ბაძვით ბერი გაყმაწვილდება,  
ქალწული მის ღვაწლს ლექსად იმღერებს,  
რომ ამცნოს მისი თავის დადება  
სამაგალითო შეილითი შვილად  
და სხვა ქართველი მომავალს დროში  
წარმოიშობოს იმის მსგავს გმირად —  
ეს ხმა იქნება იმისთვის ძველი  
გრძნობა-გონების ვრცელ სამთავროში...  
მამულს ემსხვერპლა, არ დავიწყდება  
სათაყვანებელ მის სამშობლოში.  
რა სცნა ირაკლიმ ეს დამარცხება,  
ჩქარი ნაბიჯით გაექცა მტერსა;  
გადანარჩენის ჯარით მოკულმა  
მსრატელ მიაშურა შორს მთიულეთსა.  
და ცრემლთა მღვრელი ერთგულ ყმათა-  
თვის  
გულში იკლავდა მწარე ფიქრებსა:  
„თუშეცა დრო იყო, რომ შემდგარიყო

ერი ხანგრძლივის ომით დაღლილი,  
 კვლავ დამტკბარიყო მშვიდობის მადლით,  
 ტკბილად ემზირა ცოლი და შვილი;  
 ზავი დამედვა სამშობლოს მტრებთან,—  
 ჩემი სამეფოს ძალას ემატოს,  
 კვლავ მეზობლურად შევრიგებოდე  
 იმ მოუსვენარს სპარსეთის ბატონს,  
 მაგრამ მუქარას ალა-მაჰმად-ხან  
 მაინც არ შლიდა განრისხებული  
 და უნდოდა რომ მას საბოლოოდ  
 ჩვენის დამხობით ეჯერა გული...  
 თავდადებული ყმათათვის მეფე  
 ვერ შევურიგდი მტრის მოსაზრებას  
 და არ მიშლიდა მე საბოლოოდ  
 სპარსთა დასაღწეად გული მზადებას...  
 დეე შემოკრბეს მეფის წინაშე  
 მთელი ივერის მხნე ვაჟკაცობა,  
 რათა შევეპუსტო, დავთრგუნო ფეხით  
 სპარსთ სიბრძნე და თავხედობა,  
 რომ შემდგომსა დროს ქართველთ სამეფოს  
 მიეცეს მშვიდი, მყუდრო ცხოვრება  
 და არ ლესდეს ხმაღს დღითი-დღემტერზე  
 ბაგრატიონის სახლეულობა!!  
 — მთელი ივერის ერთ სულთაგან  
 ამ მოსაზრებას განმმტკიცებდა  
 და მეზობელი ქრისტეანთ მეფის  
 დახმარების ხმა მიადვილდება  
 ურჩ მტერთან შებმას; მაგრამ მოვ-  
 სტყუედი!!..  
 შემონაფიცის ცხებულისაგან  
 რას ვიფიქრებდი მე ორპირობას!!  
 ან ჩემთ შვილთ შორის სიიფეს, მტრობას  
 და იუდასებრ გამცემლობას!!  
 — ნუთუ არ ენდოს მეფე ცხებული  
 ყოველ ყმას, როგორც თვის საკუთარ  
 შვილს!!.—  
 ღმერთმა მოჰკითხოს ლალატისათვის  
 იმ ბოროტ რევან ანდრონიკა შვილს!!.  
 ვერც ღუდოვიჩის მელიაობა,  
 ვერც ახარაცკის გამცემლობა  
 ვერ რას მიზამდა, თუ არ ჩემთ ყმათა  
 უბატონონო მუხანათობა!!..  
 უთვისტომოს და სიტყვით მეგობარს

არ ენდობოდა ერეკლეს გული...  
 აქ კი ვფიქრობდი რომ მამა-მეფეს  
 მეყოლებოდა ყველა ერთგული!!.  
 ეპ, რევან, რევან! პასუხი აგე  
 წინაშე ერის და მაღალ ღვთისა,  
 დაჩაგრული ვარ შენგნით ერეკლე...  
 ქართველ მეფეზე შური იძიე,  
 რომ მან მამულის ერთგულობისთვის  
 უარი გითხრა წარმატებაზე?—  
 პირადი ჟინით გაბრაზებულმა  
 გამცემლობით იძიე შური  
 და დაივიწყე მოვალეობა  
 ქართველ მეფესთან შენ ბატონ-ყმური.  
 მაგრამ, უგნურო, იცი, რომ მაგით  
 დაამხვე დაბლა შენი სამშობლო,  
 მოუსპე ძალი თვით არსებობის  
 და ცეცხლით დასწვი მის მთა და მდელი?!.  
 თუნდ დამესაჯე მე უსამართლოდ  
 შენ ჩემთან გქონდა საქმე და ვალი,  
 რათ დაივიწყე, რომ მაგ ლალატით  
 მოჰკალ ქვეყანა თავისუფალი?!.  
 დამდაბლებული შენი კაცობა  
 სხვა ირაკლისაც მას დამართებდა  
 რადგან იუდას საზომით ზომე  
 შენი ცრუ ღვაწლი და პირადობა!!.  
 ზნე დაცემული პირად ანგარიშს  
 ყოველ საქმეში ეწვევა, ეძებს,  
 დამკარგველს თვისის პატიოსნების  
 მას მხოლოდ შური გამოაბრძმედებს,  
 და არას დასდევს საქვეყნო საქმეს  
 ოღონდაც შურით და მტრობით გაძდეს...  
 ეპ, ნუ აფრქვევ ცრემლს, ამაღლდი  
 სულა!

მოხუცებისას მოიეც ძალი;  
 ხანგრძლივ ომებით დღეს დაქანცული,  
 უკანასკნელად გაღესე ხმალი  
 და დღე მოუსპე ვინც ჩემს ქალაქში  
 საყვარელთ ყმათა სისხლი დაღვარა!!.  
 მაგრამ გაიგო, რომ მოლაღატის  
 ალა-მაჰმად-ხან ხელით მომკვდარა...  
 სიკვდილის უამსა მებრძოლი სულთით  
 მიხვდა, რომ იგი მწარედ შემცდარა  
 უცხო ტომთ ნდობას, და დამაშვრალმა

ცრემლების ფრქვევით ეს დაიბარა:  
 მოსული მტერი ვერ-რას დაგაკლებს,  
 შიგნით ლალატი ყოფილა ძნელი.—  
 ესე სოფელი სიავით ბნელი  
 მუხთალია და დაუნდობელი...  
 მიეცით პირი ერთი-მეორეს,  
 განუმტკიცებდეთ ძმობას, ერთობას;  
 ცბიერ მეზობელს ააღეთ ხელი,  
 ნუ დაენდობით მის ცრუ მოყვრობას...  
 ერთ სულონებას და თქვენს სიყვარულს  
 კვლავ მოესწრება დღე ბედნიერი,  
 სხვა ერთა შორის კვლავ ამალღდება  
 ჩემი გვირგვინი და ჩემი ერი \*!!..

ასი წლის შემდეგ კრწანისის გმირებს  
 შთამომავლობა უფალს ავედრებს,  
 საშვილიშვილო ძეგლს უდგამს გულში  
 მათ თავდადებას და მათ სახელებს...  
 ძვირფასი მეფის ანდერძს ასრულებს —  
 სჩანს, რომ ივერი მკვდრეთით აღმდგარა  
 და ვერ დაჩრდილავს მის ბრწყინვალე  
 ზრდას  
 მტერ-მოყვრის წყრომა და მის მუქა-  
 რა... ..

15 დეკემბერს 1909 წ.

ივერიელი.

(დასასრული).

# როგორ მოვიქცეთ?

საწყალ სოფლის ხალხს ძლიერ ცოტა ყავს  
 გულ შემატკივარი, თუ ასეთებათ იმ ყმაწვი-  
 ლებს არ ჩავთვლით. როგორებიც ცარიელი  
 სიტყვით და ისიც სხვის ხარჯზე ბევრს რასმე  
 აღუთქვამდნენ მას და საქმით კი იმავე ხალხზე  
 ბატონობისა, იმის ზნეობრივით და ქონებრივით  
 დამხობის მეტს არაფერს ფიქრობდნენ. ან კი  
 ვის ცალია ბეჩავე ხალხის მიხედვისა და კეთილი

გზის ჩვენებისათვის? მსხვილი ჩინოვნიკი თავის-  
 თვის ცხოვრებს განცხრომაში და თვეში  
 ერთხელ თუ დახედავს კანცელარიაში მოსამსა-  
 ხურე ხელქვეითებს; წვრილი ჩინოვნიკება კი  
 ან სტოლს მიჯდომია და ქალღლებს ჩაკირკი-  
 ტებს, და, თუ სოფელში გავლა მოისურვა,  
 უფრო იმიტომ, რომ საწყალი ხალხი უშვერი  
 სიტყვით ლანძღოს, მტყუანს და მართალს  
 ზურგზე მათრახი უტლაშუნოს და გადასახა-  
 დები მობოჭოს; ვაჭარი თავის სავაქროს შეჩე-  
 რებია და ცდილობს ვაჭრობაში რაც დიდკა-  
 ცებისაგან, დაკლებია საწყალი ხალხისაგან  
 აინახლაუროს; სამხედრო სამსახურის პირებსა  
 და ქალაქის სასწავლებლის მასწავლებლებს  
 ხალხთან არაფერი საერთო არ აქვსთ და თავის  
 ბრქყვიალა კაკარდა-ორდენ-ეპოლეტებით კი-  
 დეც აფრთხობენ მას; სოფლის მასწავლებელთა  
 უპროვლესობა მართა მიბარებული შეგირდების  
 ანბანის სწავლებით კმაყოფილდება და ნაკლე-  
 ბათ ფიქრობს დიდებულად რაიმე საკეთილო  
 გავლენა იქონიოს. მაშ ვინდაა, რომ სოფლის  
 ხალხთან მჭიდროთ არის დაკავშირებული  
 და კიდევაც ცთილობს რაიმე სარგებლობა  
 მოუტანოს მას? ასეთ პირებათ სოფლის ზოგი-  
 ერთი მღვდლები უნდა ჩაითვალოს. ზოგიერთი-  
 თქო იმიტომ ვამბობ; რომ ბევრი სოფლის  
 მღვდელი უსწავლელია და ბევრს ვერას  
 მოვთხოვთ მათ; ბევრი დაუდევნელია და  
 სავალდებულო მღვდელმოქმედების შესრულე-  
 ბის მეტს არაფერს დაეძებს. მხოლოდ  
 ჩვენი სამღვდელოების მცირე ნაწილს დაუსა-  
 ხავს მიხნათ ხალხის სამსახური კეთილი მავა-  
 ლითით და სისარგებლო რჩევა-დარიგებით,  
 მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი მღვდლების  
 მოღვაწეობასაც ხშირათ არ მოაქვს შესაფერი  
 ნაყოფი, რადგან უმეცარი ხალხი მღვდლის  
 მოქმედებას და სიტყვას ძლიერ ეჭვის თვლით  
 უყურებს. მიზეზი ამისა, გარდა ხალხის უმე-  
 ცობისა, ის არის, რომ ყველა მღვდელი  
 ერთნაირი გულმოდგინებით არ ეკიდება ხალხი-  
 სადმი მოვალეობის შესრულებას; ერთი რომ  
 მუდამ აღკურველია ხალხში გავრცელებულ  
 მავნე ჩვეულებათა წინააღმდეგ, მუდამ ჩასჩი-  
 ნებს მრევლს შესახებ სარწმუნოების ვამტკი-

ცებისა, ზნეობის ამაღლებისა, სწავლა-განათლებისა და ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, - მგორეს სრულებითაც არ ინტერესდებიან ეს საკითხები. ნასწავლი საერო წოდების პირები ხომ, თუ კი შემთხვევით მიეკარნ ხალხს და მასთან საუბარი იკადრეს, მარტო ღვთის საწინააღმდეგო სიტყვებით, წმ. ტაძრისა და მის მსახურთა ძაგებით გამოუტყდენ ყურებს. აი ამებისა გამო ხშირათ გამოიგონია ხალხში პატიოსანი მუშაკისა და ხალხის კეთილ დღეობისათვის თავ გამოდებული მოძღვრის შესახებ: „რა სხვაზე უკეთესია ეგ მამაცხონებული; რატომ სხვა მღვდლები არ ლაპარაკობენ აგრე?“. რომ ეს ასეა, რომ თითო-ორულა მღვდელმა ბევრი რამ კარგიც რომ მოინდომოს თავისი მრევლისათვის, ის ბევრს ვერას გააკეთებს, ამაში მე დამარწმუნა საკუთარმა მწარე გამოცდილებ. მ. გულწრფელად უნდა ვსთქვა, რომ როდესაც ხუთი წლის მასწავლებლობის შემდეგ მღვდლათ კურთხება გადავწყვიტე, მიზნათ უჩეტეს ნაწილათ ხალხის სამსახური მქონდა დასახული. ვფიქრობდი, როდესაც ანაფორას ჩავიცვამ და, როგორც ხალხი ამოაბს „ღვთის ენა-პირა ხილში მეკავება“- , ე. ი. გარდა სასწავლებელში და ცხოვრებაში შემენილ ცოდნა-გამოცდილების მთელი საღმრთო წერილი ჩემ ხელთ იქნება და იმის ძალით გამოვალ სამოღვაწეოთ, ერთბაშათ მოესპობ მრევლში გავრცელებულ ათასნაირ ცრუმორწმუნოებას და სულ მოკლე დროში დაეყენებ ხალხს ზნეობრივათ, გონებრივათ და ქონებრივათ გაუმჯობესების გზაზე. თქვენც არ მომიკვდეთ, ეს ფიქრები თურმე უბრალო ოცნება იყო. თურმე ერთი უბრალო და მავნე ჩვეულების მოსაპოვებათ რამოდენიმე წელიწადი უნდა ეჩინო ხალხს. კიდე ზედმეტი ხვეწნაა საქირო, როდესაც რაიმე სოფლისათვის სასარგებლო საქმის გაკეთებას მოინდომებთ და ხალხისაგან ნივთიერი დახმარებაა საქირო. აი ამის მაგალითებიც მრევლის ცხოვრებიდან: ჩემ სამრევლოში, როგორც ზემო იმერეთის ზოგიერთ სხვა სოფლებშიაც, დიდი ხნიდან აკვეთილი ქონდათ პირასკეობით მიწის მუშაობა ინუ, როგორც აქ ეძახიან, მიწარობა.

ამ ჩვეულებას მარტო ჩემ მრევლში ყოველ წლებით რამოდენიმე ათასი მანეთის ზარალი მოქანდა. ამის შესახებ ბევრი ველაპარაკე ხალხს, საბლალოჩინო კრებაზედაც დახმარება და ერთსულოებით მოქმედება ვახოვე თანამეგობრებს, მაგრამ ერთმა სტუდენტმა მღვდელმა კატეგორიულათ აღმიკრძალა ამ საგანზე ლაპარაკი. მრევლი კი ამას მეუბნებოდა: რა ვქნათ, მამაო, ჩვენ ძველებს ფრცი მიუღიათ და ვერ გავტყვით, ვერ ვიმიწარებთო, ასეთი ფიცის უსაფუძვლოებისა და მისი გატყვის შესაძლებლობაზე ბევრი საბუთი მოვიყვანე; მეფე იროდისაგან თავის გერთან დადებული უფნური ფიცია და ამ ფიცის საშინელი შედეგიც მაგალითად მოვიყვანე, მაგრამ მაინც არაფერა გასქრა. 10-12 წლის განმავლობაში უწყალო ლაპარაკის შემდეგ დაესწერე საეცდრებელი ლოცვა წმ. გიორგის სახელზე, მოვისხენიე ხალხისაგან დადებული უსაფუძვლო ფიცია და ვთხოვე ამ ფიცის გატყვის პატიება იმ პირობით, რომ წელიწადში 5 პარასკევის მაგიერ მარტო ახალკვირის პარასკევი ეუქმათ. ამ დღეს მეც ვალად დავიდევი ეკლესიაში წირვა-ლოცვის შესრულება და ხალხის დალოცვა. ამის შემდეგ უმეტესობამ იწყო პარასკეობით მუშაობა და ზოგი კი დღესაც გაჯიუტებულია და არ მიწარობს.

სასარგებლოსა და ღვთის სასიამოვნო საქმეში ვერაფერს ვერ დაახარჯვებ სოფლის ხალხს და მისათვისვე საზარალო საქმისთვის კი ხშირათ დიდ ხარჯსა და დავალიანებასაც არ ეჩიდება. ასეთი საზარალო და ვალში ჩამგდები ხარჯი მოსდის ხალხს მიცვალებულის გასვენებაზე და ღვთის გადახდაზე; იმ მიცვალებულის გასვენებაზე. რომელმაც თავისი სიკობლე გაპირვებაში დალია, ავადმყოფობის დროს არც წამალი, არც რიგიანი მოვლა და საქმელ-სასმელი არ ღირსებია, უგუნური ქირისუფალი ვალს იღებს და აუარებელ საზოგადოებას უმასპინძლდება. მიცვალებულის გასვენებაზე ხშირათ ხალხი ითრობა და წესის აგების დროს მიცვალებულის სულისათვის

ლოცვის მაგიერ ერთი ურთიერთი, შეუსაბამო მუსაიფი და სიცილი აქვს, რაისაგამოც მღვდელი ხშირათ იძულებული ხდება კითხვა შეაჩეროს და ხალხს მოაგონოს მოვალეობა მიცვალებულის შესახებ. რა თქმა უნდა, მიცვალებულის გასვენებაზე გაწეული ხარჯი თითონ მიცვალებულისათვის სრულებით უსარგებლოა და მისგან მიტოვებული ოჯახისათვის კი დამლუპველი და ვალში ჩამდგები. ესევე ითქმის დღეობების გადახდის შესახებაც. მათაც ჩვენში კარგა ხანია დაკარგეს თვისი მნიშვნელობა და, თუ ძველათ ებრაელებს დღესასწაულთა ურიგოთ გატარებისათვის ღმერთი მრისხანედ ეუბნებოდა წინასწარმეტყველის პირით, „ღესასწაულნი თქვენნი სძულან სულსა ჩემსაო“, უეჭველათ დღეს ჩვენც ასეთივე სიტყვებით გვისაყვედურებს ზეტად ამალღებული მაცხოვარი ქვეყნისა. აწინდელი დღეობების გადახდას, თამამად შემოდლია ვსთქვა, არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, იგი მხოლოდ მიზეზად ხდება უზომო სმა-ქამისა, ერთმანერთის ლანძღვა-გინებისა და ცამა-ტყუპისა. ნივთიერი ზარალის შესახებ კი ნულარაფერს მკითხავთ. ჩემს სამრევლოში, მაგალითად, სამასი მეკომურია და ყვლას დაღებული აქვსთ დღეობათ გიორგობა, 23 აპრილი. როგორც დაწვლილებით გამოვიკვილე, თითოეულ ოჯახს ამ დღეობაზე 1-5 თუმანის ხარჯი მოუდის და მთლათ სოფელი კი, საშუალო რიცხვით რომ ვიანგარიშოთ, ცდენას გარეშე, ამ ერთი დღისათვის 7,500 მანეთს ხარჯავს! რამდენ კარგ საქმეს გაიკეთებდა სოფელი ამოდენი საშუალებით, მაგრამ ვინ შეაგონებს ამოდენა უსარგებლო ხარჯის გამწევ საზოგადოებას, რომ ორიოდ მანეთი თავისი ტაძრის გამშვენებაზე დახარჯოს, შვილების საკეთილდღეოთ სკოლისათვის რამე გაიმეტოს, თავისისავე თავის ჩარჩ-ვაქრების კლანჭებისაგან დასაღწევათ სასოფლო დუქანი დაიარსოს, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დასაცველად სასოფლო აფთაპი და რიგიანი ფერშალი იყოლიოს, ან და ერთი-ორი დღე სასოფლო გზების გასაკეთებლათ მოცდეს და სიარულის დროს მუდამ ტაღახში ჩაღრჩობისა

და კისრის მოტების შიში აღარ ქონდეს! ხალხის სილატაკემ და ყოველნაირათ დაქვეითებაში იძულებული გამხადა წასრულ დღესასწაულებზე საუბრები გამემართა ხალხთან შესახებ ხარჯების შემცირებისა მიცვალებულის გასვენებაზე და დღეობის გადახდაზე. თუცა ეს მე აღრეც ვცადე, მაგრამ უნაყოფოთ. ამ ბოლოს კი პირველ საუბარზე ხალხი ნასიამოვნები დარჩა. მეორე საუბრის დროს კი, როცა ამ საგანზე ხალხისათვის სასარგებლო განაჩენის დადგენასაც ვფიქრობდი, ჩემმა სიტყვებმა ვეღარ გამოიწვიეს თანაგრძნობა და ბევრმა რაღაც საბუთებიც დაასახელა ხსენებულ ჩვეულებათა დასაცველათ. საქმე ჩამეფუშა და ძლიერ გულნატკენი დავრჩი. თურმე ზოგიერთა პირებმა, რომლებიც კარგა ხელმოთბობილათ არიან და ძალიანაც სარგებლობენ ხალხის ამ დამლუპველი ჩვეულებით, რადგან კარგ ფასში ასაღებენ პურს, ღვინოს, საკლავს და სხ. დღეობის გადახდისათვის საქირო საწოვავს, ხალხი დაუჯერებოთ ვითომც ჩემი რჩევა-დარიგება დამყარებული იყოს პირად სარგებლობაზე და ამიტომ ჩემ რჩევას მაშინ მიიღებენ, თუ მე მათ აღარ მოეთხოვ დრამას. ამ შემთხვევაში ხალხის საქციელმა მომაგონა ავადმყოფი ბავში, რომელიც მის ერთგულსა და გულშეწუხებულ პატრონს თითოეული კოვზი წამლის დაღვინებაზე იხვეწიებს და თან ქირათ შაქარ-კამფეტებს თხოვს. დრამის დათმობა ჩემი მხრით შაქარ-კამფეთების მიცემას არ შეემსგავსება, რადგან ის ჩემთვის ერთად ერთი საშუალებაა ცხოვრებისა, მაგრამ, რომ ვიციოდე ამით სოფელს რამე წარმატება დაეტყობოდეს, ცოტა ხნით მაინც გავიჭირებდი საქმეს. ეს ძალაუნებურად კიდევ ვცადეთ 1905-1906 წლებში, მაგრამ ხალხი არ გამიღიღრდა. ერთი გვიბრძანეთ, როგორ მოვიქცეთ ასეთ საზოგადოებაში—გავჩუმდეთ და მარტო სავალდებულო მღვდელმოქმედების შესრულებით შევზღუდოთ ჩვენი სამსახური, თუ ვებრძოლოთ ათასნაირ მანე ჩვეულებას? გული გიკვდება, როდესაც შენს მართალსა და სასარგებლო სიტყვას სხვანაირად დებულობენ.

ძვირფასო, თანამშენო! გამოოსტყვევოთ თქვენნი

აზრი ამ საქირბოროტო კითხვათა შესახებ.  
 საერო წოდების განათლებულნი პირ-  
 ნო! მოვიგონეთ, რომ ბეჩავ სოფლის  
 ხალხს ძლიერ ცოტა ყვეს გულშემა-  
 ტკივარი და კეთილი გზის მაჩვენებ-  
 ბელია რადგან ყველა გაურბის მიყრუებულ  
 სოფელში სამსახურსა და მოღვაწეობას; თუ  
 თქვენ ვერ მოგიხერხებიათ ხალხთან ახლოს  
 ყოფნა და სამსახური, ის მაინც გაითვალისწი-  
 ნეთ, რომ ის (ხალხი) თქვენი მარჩენელია  
 და თვით თქვენი განათლებაც მისი ოფლის  
 ნაყოფია. შეიბრალებთ ეს თქვენი მარჩენელი  
 ხალხი და ნაცვლად ერთმანერთზე გადაკიდებისა  
 და შეძლებებისა მიაწვდინეთ თქვენი განათლე-  
 ბული ხმა, რომ მან ჯეროვნათ შეითვისოს და  
 დაათვას ყოველი სასარგებლო რჩევა-დარიგე-  
 ბა და თავის კეთილისმყოფელი ყველა ერთნა-  
 ირათ მიიღოს ერი იქნება იგი, მღვდელი,  
 თუ ბერი. თითონ მოგეხსენებათ, სამღვდე-  
 ლოება დაახლოებულია ხალხთან და ამ  
 სამღვდლოებაში აქა-იქ ხალხის კეთილდღეობის  
 შესურველებიც გამოჩნდებიან. მათ მოქმედებას  
 და ხალხზე კეთილი გავლენის განმტკიცებას  
 თქვენც ხელს შეუწყობთ. ისე კი თითო-ოროლა  
 მღვდლის მოღვაწეობა მიყრუებულ სოფლებში  
 ნაყოფს ვერ გამოიღებს და ამ საკოდავებმაც  
 თავისი სიცოცხლე უგემურათ და ზნეობრივ  
 ტანჯვაში უნდა გაატარონ.

მღ. ს. მ-ძე.

ჯვარცმა.

აღესრულა!

(ფარარადგან)

I. miles, expedi cruceam—გასწი, მხედრო,  
 მოამზადე ჯვარი! უთუოდ ასეთ დღის-შესანიშნავ სიტ-  
 უვებათ გასტა ზილსტუმ უკანასკნელი ბრძანება.  
 უთუოდ ცხრა საათი იქნებოდა და განსჯას სასჯელიც  
 დაუუთხრებლავ თან მოჭევა. მოსამზადებულად ბეგრი  
 დრო არ იყო სჯარო და ამ ხნის განმავლობაში  
 მხედრებმა, რომლებსაც მოაუღოთასაც შეადგენდა

ოჯალური ედევნებით განჩინების სისრულეში მოყვა-  
 ნისათვის, განძარცვას იქსის წითელი სამხედრო  
 ქალმადნი. ესეა უფრო გაწითლებული სისხლისკან,  
 და შემოსეს მას თვისივე ტანისმოსი. რაცა  
 ჯვარი შეამზადეს, აჭკადეს იგი მას და წაიუყანეს  
 სასჯელისათვის დანიშნულ ადგილზე. დიდი დღეს-  
 სწაულის სიხლადევი და ხალხის სიმრავლე დაბადა  
 განძარცვა, რომ ესარგებლათ ამ შემთხვევით უკუდა  
 ამ ქვეყნის ავსაყთა შესაშინებლად. ამიტომ  
 ერთ და იმავე დროს იქსო ქრისტესთან დასასჯელად  
 აიხრეს კიდევ ორი დაბალი ხარისხის ავსაყთა.  
 მათაც ჯვარი, თვისთვისა აჭკადეს, მოუხინეს მთელი  
 რაზმი მხედართა ასის-თავითურთ და ათსუელ  
 უქმ ციკ-გულა და ბორბტ-მტრულად განწყობილ  
 მყურებულთა შორის გაუდგენ-გზას. ჯვარი არ  
 შეიძლებოდა ისეთი მკვრივი და შიდალი  
 ეოთილიყო, როგორც მას ჩვეულებრივად ხატავენ  
 სურათებზე. ჯვარცმა ჩვეულებრივი სასჯელი იყო  
 რომელიცა შორის, და, თავის თავად ცხადა,  
 იკინი დიდად არ ზრუნავდენ ამ წამებს და  
 სიწილის (позоры) იარაღის შემზადებაზე, ის,  
 უთუოდ, შეამზადეს სულ უბრალო ხისკან, რომელიც  
 შირველად მოხვდით ხელში, შეიძლება ზეთისხილის  
 ან სხვა რომელიმე ხისკან. უოკულ შემთხვევაში,  
 კაცო რომ ეტვირთნა, ჯვარი კაა დიდი და მძიმე  
 უნდა უოთილიყო, და ასეთი ჯვარის ზოდაც მისთვის,  
 ვინც ცოტა ხნის წინეთ ასეთი წამება და გვემ  
 დათმინა, ასედა წამება იქნებოდა. მაგრამ ი ქრ-  
 სტე მოქანრული იყო არა მხოლოდ ამ სიმკაცრით,  
 არამედ წინადადეგების საშინელ შინაგან ბრძოლისა  
 და წამებასკან, ძლიერ დელოთაგან სერობაზე,  
 შეოთისა და ტანჯვისკან უძილოდ გატარებულ  
 წინა დამისა, ზნეობრივ მღელვარებასკან გეთსმა-  
 ნის ბადში, სსმი დაკოთხვისა და სსმი სასიკვდილ  
 განჩინებისკან იუდელების მხრით, ხანგრძლივ და  
 დამუძღურებულ სტენებისკან, დაკოთხვისკან  
 ირადის წინაშე, მხეკურ და აუტანელ გაკაცხვისკან,  
 რომელიც მან დათმინა ჯერ სინედრიონის წევრებისა  
 და მათ მსახურთაგან, შემდეგ ირადის მხლებელთაგან  
 და ბოლოს რომელ მხედართაგან. მისი მუხლებს  
 დაკვეთილობა და სპირი დატემა ცხაში აშკარად  
 მოწმობდა, რომ მას არ შეეძლო ჯვარის ტკბართა  
 შრეტორიადგან გოლგოთამდის, რომ კიდევ არ

შებრძლებლად, შედრები მაინც ვერ დაგვიანებდნენ სსსკელის შესრულებას. მაგრამ ივინი იოლად გამოვიდნენ ამ დაბრკოლებიდან. ჯერ კიდევ ქალაქის ბჭეში არ გამოხუციუყენ. რომ წინ შეხუდათ კაცი მომავალი ველიდან, რომელიც ცნობილი იყო ზირკელ ქრისტიანეთა შორის. სეიმონ კვირინელად. მამად აღექვსანდრესა ზე როფისა შეიძლება, ვინმე თანამოგზურთაგანმა აღიარა ამ კაცში ქრისტეს მოძღვრების თანამგძნობი და ეს სჯამრესი იყო. რომ მხედრებს უტიფრად აკვილათ მისთვის ეს სწამებელი და სამარცხვინო იარაღი სიკვდილისა

შემზარდა ვისლელობა. ცოტა ხნობით შეჩერებული იხლი შემთხვევით, ხელახლა დანძრა და გაუდგა გზას. ვათოლიკეთა ეკლესიის ანტიროთული გადამოცემები ბევრ ამბებს მოგვითხრობენ ამ მწუხარების გზიდან — „via dolorosa.“ — გარნა სხარებაში მოთხრობილია მხოლოდ ერთი შემთხვევა. წმ. ლუკა კადმოგვჩქემს, რომ აურაცხელი მამაკაც თამირის, რომლებიც მისდევდნენ აესოს, ქალებიც ბევრი იყვნენ. მამაკაცთაგან იგი, როგორც სწანს, ვერ ედირსა შებრძლებს და თანაგრძნობს. იქ, უკჩვალისა, იყვნენ ისეთები, რომლებიც მწიქმი იყვნენ მისი სსსკელისა და მოძღვრებისა; იყვნენ ისეთებიც; რომლებიც მისი მადლი მოძღვრების შეახებით თუ სულ არ ცოტათ მაინც დარწმუნებული იყვნენ მის შესიაობაში; უთუოდ ვინმე იმ ბრბოდამაც იქნებოდა, რომელიც ხუთი დღის წინეთ „სსსსს“ უგალობდა და დანჯვის კუდების რტობით ხელში მოაკითხვიდა და შეუდგებოდა მას თუ ასეა, მამ მცირედ მონწმუნებობითი გაუბედობა ანუ დრმა უმუნვა, შეიძლება უსაზღვრო მწუხარებაც კიდევ — ზიარს უყოფდა მათ. მაგრამ ქალებს, რომლებიც საზოგადოთ მეტი გულშემოკიდებითი განიარჩევანს, რომლებიც უფრო ხსკლებად თვლობენ თავის გრძნობებზე, არ შეუძლათ და არც უნდოდათ დამატათ ის მწუხარება და შემზარათა, რომლებითაც აღავსო ივინი ამ სსსსსობამ. ივინი გულში იცემდენ, ტირილენ და გოდებდენ, სსსსს თვით ი. ქრისტემ დადებული გასაფრთხილებელი სიტყვებით არ აძიულა, განუშებულოდნენ იგი მიუბრუნდა მათ ზე უთხრა: „სსსსს სიანისისა! ნუ სტირით ჩემსედა, რამედ თავთ თქვენთა სტირადეთ და შეილთა თქვენთა. რამეთუ მოვლენან დღენი, რომელთა შინა სიტქვან: ნეტარ არიან ბუნწნი და მუცლენი, რომელთა არა შეხეს, და ძიქუნნი, რომელთა არა განზარდეს. მამის ეტყვიან მათათ: დამერებით ჩვენსედა, და ბორცვთა: დაგვფარეთ ჩვენ.“ მათი მხრით ეს იყო მხოლოდ ამოხსენი ქალურ აღმოფთებულ გრძნობებისა, რომელთაც

ისინი ვერ დათრგუნვიდნენ იმის შემხედვარე, თუ როგორ სირცხვილისა და სისუსტისა წამებს განიცდიდა კატობრიობის დიდებული წინაწარმეტყველი, თუ როგორ მის წინ მიმავალი ბელადი აცხადებდა ბორტომქმედებებს, რომლებშიდაც მას ბრალს ებდებენ, თუ როგორ მიჭქნდათ რომელიც მხედრებს მისი დამამცირებელი წოდება, და სეიმონი იზნიქებოდა ჯვარს ქვეშ. რომელზედაც უნდა გაკრათ იგი (მაცხოვარი) მაგრამ იგი აფრთხილვდა მათ, რომ ივინი ამ სსსსსობით ვერ გამოიტირებენ თავის უკედურებას, უფრო დიდი სიძწარე მოკლისთ თვით მათ, მათ შეიძლებს და მათ ხადხს. ბევრი მათგანი და უმეტესი ნაწილი მათა შეილებიისა მოკესწრებთან ისეთ სისხლის ღვრას, ისეთ შემადრწუხეკელ ტანჯვას როგორიც არ უნახავს ქვეყნიერებას. — დადებდა დრო, როცა ეს ტანჯვები აღმატებთან კაცის მოთმინებას და აძიულებენ თავი შეაფარონ თუ ეს შესაძლებელია იმ მთის ქვეშ, რომელზედაც დაშენებული იყო მათი ქალაქი. დღეები მათი ერთგული სიცოცხლისა ჯერ კიდევ ამწევანაულოა: თუ ასეთი ბნელი სსსსსი შესაძლებელია ეხლა, რადა იქნება მამის, როცა ხე დატანება. განშება, და მხოლოდ დასწავლად გამოდგება? თუ კეთილდღეობისა და სსსსსი ის დროს მათ მისცეს თვისი მსსსსელი წყევასა და შეჩვენებასა, რადა იქნება დროსა გამოისა, გარდარეულობისა და სსსსსწრვეთალებასისა? თუ მღვდელმთავრებმა და მწიგნობარებმა დღეშუკულ შესძლეს ჯვარცმა უმანკისა, რადა უნდა მოხდეს უგუნეთში, როცა შეიქნება თერხული უსჯულთა და კაცის მველეთა? ეს იყო დღე ავსაზობის გამარჯვებისა; იგი იქნება დღე, როცა ავსაზობა შეიქნება თავისივე წინააღმდეგ მურის მამიკელ ფრიად. დადებული გაფრთხილება ქრისტესი, მისი უკასასწრელი ქადაგება ზარველ ვოვლის ეკუთვნოდა მათ, ვისაც ესმდა; მაგრამ, მსგავსად ქრისტეს სსსსს დანარჩენ მოძღვრებებისა, მას აქვს უფრო ფართო მნიშვნელობა — მთელი კატობრიობისათვის. ეს სიტყვები მოაგონებენ ვეველ მამის შეილს, რომ შემდეგ უზრუნველ განცხრომისა და ღვთის მგომობარე ურწმუნოებისა დადებთან დღენი სსსსსელ განსჯისა; ივინი აფრთხილვებენ ვოველ ადამიანს, რომელიც ცხოვრობს განცხრომით, ჭამს, სვამს და თვრება. რომ თუმცა დმერთი სულგრძელია და დროდის უურებს კაცთა ცოდვეებს, მაგრამ მოვლენს დღენი, როდესაც იგი დაიხმარებს გრგვინვით და რისხვა მისი მსკავსი იქნება ცეცხლისა და მწველისა.

(შედეგი იქნება)

რედაქტორი, მღვდელი სიმონ მამილიძე  
გამომცემელი იოსებ ლეჟავა